საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1854 2019 წლის 16 აგვისტო ქ. თბილისი

სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ – კოლეჯ „ჰორიზონტისათვის“ იჯარის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რომ ა(ა)იპ – კოლეჯ „ჰორიზონტს“ (ს/ნ: 237079497) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) წლის ვადით, იჯარის უფლებით, 1 (ერთი) ლარად, გადასცეს ქ. ოზურგეთში, შოთა რუსთაველის ქუჩა №8-ში მდებარე 3963.00 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები: №1 საერთო ფართობით – 2057.00 კვ. მ, №2 საერთო ფართობით – 12.43 კვ. მ და №3 საერთო ფართობით – 8.39 კვ. მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №26.26.47.313).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონების იჯარის უფლებით გადაცემის პირობებად განისაზღვროს:

ა) საიჯარო ქირის – 1 (ერთი) ლარის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში;

ბ) ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ უძრავ ქონებაში ა(ა)იპ – კოლეჯ „ჰორიზონტის“ საგანმანათლებლო პროფილით ფუნქციონირება შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არანაკლებ 10 (ათი) წლის განმავლობაში.

3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და ა(ა)იპ – პროფესიულ კოლეჯ „ჰორიზონტს“ (ს/ნ: 237079497) შორის 2014 წლის 8 აგვისტოს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის დღიდან.

4. ამ განკარგულების შესრულების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**